კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ავთანდილ ნოზაძე

დროებითი განკარგულება

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტროს აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ანა გურიელი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

აფილირებული ასისტენტი

თბილისი

2020

სარჩევი

Contents

ანოტაცია 3

შესავალი 4

სამაგისტრო ნაშრომის მიზანი 10

თავი 1. განსხვავებები საოჯახო და სხვა სახის დავების განხილვისას საერთო სასამართლოებში 12

1.1დავის განხილვის სპეციფიკა 13

თავი 2. ნორმები, რომლებიც ეხება ბავშვს 23

2.1 ბავშვის საუკეთესო ინტერესის განმარტება 27

2.1.1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 28

თავი 3. დროებითი განკარგულება 35

3.1 ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის როლი ბავშვთან დაკავშირებულ წარმოებაში 36

თავი 4. განჩინება სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის და სხვა პირთა საქმეში ჩართვასთან დაკავშირებით 38

4.1 პრაქტიკა პირველი ინსტანციის სასამართლოში 38

4.2 ფსიქოლოგის როლი დროებითი განკარგულების მიღების დროს 40

4.3 შუამდგომლობა დროებითი განკარგულების გამოცემის თაობაზე 43

4.4 მხარის სოციალური მდგომარეობის გავლენა დროებითი განკარგულების შინაარსზე 47

4.5 სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომები საქმის განხილვისას 48

თავი 5. მტკიცებულებები საოჯახო დავების განხილვის დროს 50

დასკვნა 52

გამოყენებული ლიტერატურა 54

საკანონმდებლო ნორმები 54

გამოყენებული ინტერნეტ რესურსები 55

ანოტაცია

საოჯახო სამართალში, უდავოდ, ყველაზე სენისტიურ საკითხს განეკუთვნება ბავშვი, მისი უფლებების დაცვა ოჯახსა და საზოგადოებაში, რომელიც ქართულ კანონმდებლობაში გამყარებულია მშობლებისათვის თანაბარი უფლება-მოვალეობების მინიჭებით მატერიალურ კანონმდებლობაში, ხოლი სასამართლო დავების განხილვისას, რომელიც მიმდინარეობს იმგვარად, რომ მასში მონაწილეობენ არასრულწლოვნები, აპრიორია სწორედ ბავშვთა უფლებები და მათი რეალიზება, მათი საუკეთესო ინტერესების დაცვა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ცალკე თავად გამოყოფს საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებებს. კერძოდ: კოდექსი ამბობს, რომ საოჯახო სამართლებრივი დავები განიხილება იმ დამატებებით, რომლებიც სპეციალურად ამ სახის დავების განხილვისთვისაა კოდექსში მოცემული. აქვე ვკითხულობთ დროებითი განკარგულების რეგულაციას, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი საკვლევი საგანია.

დროებითი განკაგულებით სასამართლო აწესრიგებს შვილის მიმართ ზრუნვის საკითხებს, ერთერთი მშობლის ურთიერთობას ბავშვთან, აღსაზრდელად გადაცემას, შენახვის ვალდებულებას, საოჯახო მეურნეობითა და ბინით სარგებლობის საკითხებს და სხვა.

ნაშრომში მიმოხილულია სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ამ საკითხებს არეგულირებს და სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ყველაზე ნათლად გვიჩვენებს, რამდენად ხდება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა საოჯახო დავების დროს და რა როლი აქვს ამ დაცვის სწორად წარმართვაში სასამართლოს.

შესავალი

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც, რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტები თავადვე იძლევიან ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციას და განსაზღვრავენ, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამოწვეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად გამოყენებულ უნდა იქნას არასრულწლოვნის **საუკეთესო ინტერესი,** რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“. მოხმობილი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს, ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს, აკისრიათ ძირითადი

პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლით დადგენილია მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ. მშობლები უფლებამოსილნი და ვალდებულნი არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით (სსკ-ის 1198.1 მუხლი). მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს (სსკ-ის 1199-ე მუხლი). მითითებული საკანონმდებლო დანაწესების ანალიზი იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნაა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადაწყვეტილებისას, უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება, შესაბამისად, ჩარევის პროპორციულობის დასაშვები ზღვარი იმისი უალტერნატივოდ დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა წარმოადგენს ერთადერთ სწორ და მისაღებ გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის/მცირეწლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის განვითარებაში. (იხ. სუსგ Nა ს-458-440-2016,15.07.2012წ)

„ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-8 მუხლით დაცული ოჯახური ცხოვრების პატივისცემა გულისხმობს ოჯახის წევრებს შორის კონტაქტისა და ურთიერთობების დაცვას. სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედმისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღ იარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასთან და საუკეთესო ინტერესებთან დაკავშირებული თითოეული დავის განხილვისას და ინდივიდუალური შეფასებისას, რათა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებებს, რომელთაგან უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს, იმ შემთხვევაშიც, კი თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, ადამიანის უფლებათა ევროპულმ სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ძალიან სერიოზული დონის ჩარევაა ოჯახის გახლეჩა" (Olsson v. Sweden /No.1/ 10465/83[1], par.81).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე მიიღოს **დროებითი განკარგულება**, რათა მოაწესრიგოს ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა ერთ-ერთი მშობლისათვის. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, აღნიშნულ საკითხებზე სასამართლოს განჩინება შეიძლება გამოტანილ იქნეს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. სწორედ დაბალანსების ერთერთი სახე, დროებითი განკარგულება და მისი სამართლებრივი ბუნების განმარტებაა ნაშრომის ძირითადი მიზანი. თითოეულ მკითხველს, ნაშრომის გაცნობის შემდეგ, უნდა ჰქონდეს აბსოლუტური ცოდნა, როგორც რეგულაციების, ისევე უფლებრივ საკითხებზე.

კანონის მითითებული დანაწესი ითვალისწინებს სასამართლოს საგამონაკლისო უფლებამოსილებას, ბავშვის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე, არ დაელოდოს ბავშვის ამა თუ იმ მშობლისათვის მიკუთვნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას და **დროებითი** ღონისძიების სახით გადასცეს არასრულწლოვანი კონკრეტულ მშობელს აღსაზრდელად. აღნიშნულის საჭიროება შეიძლება არსებობდეს ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა ბავშვის მცირე ასაკი, განსაკუთრებული მიჯაჭვულობა მშობლის მიმართ და სხვა ობიექტური ფაქტორები, რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ შეფასდება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIII თავით რეგულირდება ისეთი სპეციფიური საკითხები, როგორიც არის საოჯახო დავები. ვინაიდან, როგორც

[1] https://hudoc.echr.coe.int/rus#{%22itemid%22:[%22001-57548%22]}

უკვე აღვნიშნეთ, საოჯახო დავებში არასრულწლოვანთა მონაწილეობით უპირატესია ბავშვების საუკეთესო ინტერესები, სასამართლო პროცესიც მიმდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რიგი პრინციპების უკან დაწევით, ისეთებით, როგორიცაა შეჯიბრებითობა, დისპოზიციურობა. აღსანიშნავია, რომ ამგვარ დავებში მოსამართლის უფლებამოსილებები გაზრდილია და საქმის მიმდინარეობა მხოლოდ მხარეთა მიმართებებზე არ არის დამოკიდებული. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სასამართლოს ვალდებულება, მხარეთა მოთხოვნის არსებობა/არარსებობის მიუხედავად საქმეში არასრულწლოვნების კანონიერ წარმომადგენლად ჩართოს სოციალური მუშაკი.

წინამდებარე ნაშრომი ეთმობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში საოჯახო დავების განხილვის სპეციფიურობას. პროცესუალურ ნორმებს, რომლებიც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, დაიცვას ბავშვების საუკეთესო ინტერესები, ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებით, როგორიც არის დროებითი განკარგულება, რომელიც მოითხოვება მხარეთა / მხარის შუამდგომლობით.

კანონი აცხადებს, რომ საქორწინო დასაოჯახო საქმეების მიმართ, გამოიყენება ამ კოდექსით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი) დადგენილი წესები იმ დამატებებით, რაც XLIII თავშია წარმოდგენილი. აქვე აღნიშნავს, რომ მოდავე მხარის (ერთერთი მეუღლის) გარდაცვალების შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნე, საქმის რიგი გარემოებების დადგენა ხდება სასამართლოს ინიციატივით, რაც ბავშვის უფლებების დაცვის მოტივიდან გამომდინარე, ამ სახის წარმოებას განასხვავებს სხვა წარმოებებისგან. სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე (მაგალითად, დროებითი განკარგულების მისაღებად, შეაფასოს საცხოვრებელი პირობები, სოციალური მიჯაჭვულობა, როგორც ერთი, ასევე მეორე მშობლის მიმართ) მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ, თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ. ამგვარი რეგულაციას

ვერცერთ სხვა დავაში, სადაც საქმე არ ეხება ბავშვის ინტერესების დაცვას, ვერ იპოვით. აქვე დასძენს, რომ საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეები, არ შეიძლება განიხილებოდეს სხვა სახის მოთხოვნების შესახებ აღძღულ საქმეებთან ერთად.

ნაშრომის **პირველი თავი** დაეთმობა პრინციპების დონეზე არსებულ განსხვავებებს, საოჯახო და სხვა სახის დავების განხილვისას, უშუალოდ პროცესის მიმდინარეობის დროს.

ნაშრომის **მეორე თავში,** მიმოვიხილავთ ყველა იმ სამართლებრივ რეგულაციას, რომელიც გამოყენებული შეიძლება იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, როგორც ზოგადად ბავშვებთან დაკავშირებული დავების განხილვისას, ისევე, დროებითი განკარგულების მიღების დროს.

ნაშრომის **მესამე თავში** ფართოდ განვმარტავთ დროებით განკარგულებას და მის სამართლებრივ საჭიროებას მაშინ, როდესაც მშობლების განქორწინების მიმდინარე პროცესში, ბავშვი რჩება დაუცველი. კანონი ამბობს, რომ სასამართლოს შეუძლია მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე მიიღოს დროებითი განკრაგულება, რათა მოაწესრიგოს შვილის მიმართ მშობელთა ზრუნვის საკითხები, ისევე, როგორც ერთ-ერთი მშობლის ურთიერთობა ბავშვთან. ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა ერთერთი მშობლისთვის, მცირეწლოვანი ბავშვის შენახვის ვალდებულება, საკითხი, ერთერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ, საოჯახო მეურნეობისა და ბინით სარგებლობის საკითხები . ზეპირი მოსმენის გარეშე დროებითი განკარგულების მიღების სამართლებრივი რეჟიმის ნაკლზე. კანონი ადგენს, რომ ამგვარი შუამდგომლობები შეიძლება ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს სასამართლომ, თუმცა აღნიშნული დანაწესი მსჯელობას საჭიროებს. შესაძლებელია კი, რიგი გარემოებები სასამართლომ უტყუარად დაადგინოს, თუ არ მოახდენს მოდავე მხარეთა ინდივიდუალურ შეფასებას, მითუფრო მაშინ, როცა საკითხი ეხება ბავშვების საუკეთესო ინტერესების დაცვას?

ნაშრომის **მეოთხე თავში** ვისაუბრებთ განჩინებებზე, რომლებიც გამოაქვს სასამართლოს სოციალური სამსახურის და ფსიქოლოგის ჩართვასთან დაკავშირებით.

ნაშრომის **მეხუთე თავი** დაეთმობა მტკიცებულებებს, რომლებიც უნდა წარვადგინოთ სასამართლოში, ბავშვებთან დაკავშირებულ დავებზე. სასამართლოს გადაწყვეტილებებს განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ. ზოგადად, საოჯახო დავები, სპეციფიურობით ხასიათდება, იმ კუთხით, რომ ყველა სხვა დავისაგან განსხვავებით, ემოციური მდგომარეობა მხარეებში ხშირად საქმის მიმდინარეობის მიმართულებისთვის ძირითადი განმსაზღვრელია. ამგვარ დავებში, ისეთ საკითხებზე მიიღება გადაწყვეტილება (თუ რა თქმა უნდა, ამ მოთხოვნას აყენებენ) როგორიცაა ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებზე საერთო ზრუნვის საკითხი, ერთ-ერთი მშობლის ქორწინებაში დაბადებულ ბავშვზე ზრუნვის საკითხი, ბავშვის ერთ-ერთი მშობლისთვის გადაცემის საკითხი, მეუღლეთა ურთიერთრჩენის საკითხი. მნიშვნელოვანია, რომ ერთიან გადაწყვეტილებაში აღიწერება თითოეული მოთხოვნის სამართლებრივი გადაწყვეტა და შესაბამისი დასაბუთება, დგინდება სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები, აგრეთვე იკვეთება გარემოებები, რომლებიც სასამართლომ დაადგინა, შესაბამისად პირველი ინსტანცია ამმხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტანციაა. ფაქტები და მტკიცებულებები კი ძირითადად პირველი ინსტანციის საქმეა.

დასკვნაში მნიშვნელოვანი იქნება ის სიკეთეები, რომლებსაც მოიტანს ნაშრომი, რომელშიც განმარტებული იქნება ყველა ის მახასიათებელი, რომელიც მყარად უნდა იცოდეს დაინტერესებულმა პირმა, მშობელმა, მეუღლემ თუ წარმომადგენელმა, რომელიც საოჯახო დავას აწარმოებს სასამართლოს მეშვეობით და როგორც სამართლებრივი დაცვის მექანიზმს, იყენებს დროებით განკარგულებას.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანი

იმის მიუხედავად, რომ თემა მეტად აქტუალურია, აღნიშნულ საკითხზე საქართველოში განვიცდით, სასამართლო პრაქტიკის, სამეცნიერო ლიტერატურისა და ნაშრომების სიმწირეს, იმედია ხმამაღალ ნათქვამში არ ჩამითვლით - როგორც მინიმუმ საქართველოს სამართლებრივ სივრცეს დაემატება კიდევ ერთი კვლევა, რომელიც სოციალურად ერთ-ერთ მთავარ სეგმენტს შეეხება და რომელიც მეტად პრაქტიკული ხაისიათის იქნება ვიდრე თეორიული. მკითხველს, საშუალება ექნება, ერთ ნაშრომში ამოიკითხოს საოჯახო დავების მატერიალური და პროცესუალური მახასიათებლები, რომლებიც მორგებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე და ამასთან, აბალანსებს მშობლის უფლება-მოვალეობების ისეთ განხორციელებას, რომელიც არ მოვა წინააღმდეგობაში ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვასთან.

ნაშრომის მიზანია წარმოვადგინოთ კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა. გაკეთებული იქნება დასკვნები იმის შესახებ, თუ რამდენად მოდის თანხვედრაში ეროვნული კანონმდებლობა (მატერიალური, პროცესუალური) ბავშვთა უფლებათა კონვენციასთან და სხვა საერთაშორისო აქტებთან, რა ხარისხით იცავს იმ პირთა ინტერესებს, რომლებიც შედიან კანონის მოქმედების სფეროში. შეძლებისდაგვარად, წარმოვადგენ რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა მოხდეს კანონმდებლობის ადაპტირება საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, შეთანხმებებთან თუ კონვენციებთან, საიმისოდ, რომ მან დაიცვას მოდავე მხარეთა ინტერესები მაქსიმალურად და თან ისე, რომ არ მოხდეს უგულებელყოფა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისა.

მხარეებისათვის, თუ მნიშვნელოვანია შედეგი, რომელიც დადგება, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების სახით, ნაშრომის მიზანს წარმოადგენს შედეგის დადგომამდე, აღსასრულებელი ძალის მქონე გზის,

დროებითი განკარგულების და მისი სამართლებრივი ბუნების წარმოჩენა. ნებისმიერი დროებითი რეგულაცია, ისევე, როგორც საბოლოო გადაწყვეტილება, ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე უნდა იყოს მორგებული, შესაბამისად,პროცესის მიმდინარეობის დროსვე, უნდა გაირკვეს, დროებითი განკარგულებით მოთხოვნილი შედეგი თუ გადაწყვეტილებაშიც აისახა, იქნება თუ არა ბავშვისთვის სასურველი და საუკეთესო პერსპექტივის მქონე? აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დროებითი განკარგულების შინაარსი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს. შესაბამისად, იგი დროებითი ღონისძიებაა და ემსახურება მხარეების, ისევე როგორც ბავშვის ინტერესთა ბალანსს.

თავი 1. განსხვავებები საოჯახო და სხვა სახის დავების განხილვისას საერთო სასამართლოებში

საოჯახო დავებში, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილება ისეთი სენსიტიური შემთხვევები, როგორიცაა ბავშვის მიკუთვნება, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა მუდმივად ან დროებით. სასამართლო გადაწყვეტილებით ან განჩინებით, მორიგების დამტკიცების თაობაზე, სასამართლო ხაზგასმით ადგენს, თუ როგორ უნდა იქნას გათვალისწინებული ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

სამართლებრივი სიკეთე, რომელიც დასაცავია საოჯახო ურთიერთობებში, თავმოყრილია საქართველოს კანონში -საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. [2] კოდექსის პირველივე მუხლში [3] ვკითხულობთ, რომ ეს კანონი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს. კვლევის საგანს, დროებით განკარგულებას რომ დეტალურად გავეცნოთ, აუცილებლად უნდა გავიგოთ, რას გულისხმობს კანონი პირად და საოჯახო ურთიერთობებში და რა სახის მექანიზმებს აყალიბებს იგი საიმისოდ, რომ ამ ურთიერთობებში, უფლებები იყოს რეალიზებული.

საოჯახო სამართალი, სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნით რეგულირდება. მკითხველის ყურადღებას მივმართავ მხოლოდ იმ ნორმებზე, მატერიალურ სამართალში, რომელიც კავშირშია ბავშვთან და რაც შემდგომში შეიძლება დავის საგანი გახდეს მშობლებს შორის.

დასაწყისშვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებთი და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები. [4] განვმარტოთ, რას გულისხმობს პირადი ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები:

---

[2] https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=108 04.06.2020

[3] საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 1

[4] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 1152

სამართალი, პირად არაქონებრივ და პირად ქონებრივ უფლებებს, პირველ რიგში, მათი ბრუნვაუნარიანობის ხასიათიდან გამომდინარე განასხვავებს. მართალია, არაქონებრივი უფლება ქონებრივი უფლების მსგავსად, შეიძლება კერძო სამართლის ობიექტს წარმოადგენდეს, თუმცა ქონებრივისაგან განსხვავებით, მისი გასხვისება ან სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ობიექტად ქცევა დაუშვებელია. სწორედ ამაში მდგომარეობს მისი არაქონებრივი ხასიათი. აღნიშნული დაყოფა, უფლების არამატერიალური სიკეთის გასხვისება შესაძლებელია ზოგ შემთხვევაში, თუ მას ქონებრივი ხასიათი გააჩნია, რაც არაქონებრივი უფლების შემთხვევაში გამორიცხულია. აგრეთვე მნიშვნელოვანი განმასხვავებელია ზიანის ანაზღაურების საკითხი. ქონებრივი ზიანი ადვილად დგინდება, მაშინ, როდესაც არაქონებრივი ზიანი დამოკიდებულია დაზარალებულის სულიერ მდგომარეობაზე. ქონებრივი ზიანი მატერიალიზებულია, სიდიდე განისაზღვრება ფაქტებიდან გამომდინარე, ხოლო არაქონებრივი ზიანის შემთხვევაში, მტკიცებისთვის საკმარისია მხოლოდ ასეთი უფლების დარღვევის ფაქტის დადასტურება.

საოჯახო სამართლებრივი კუთხით, ზუსტად არაქონებრივია მშობლის უფლება, თუნდაც მცირე ხნით მოინახულოს შვილი, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, ჰქონდეს მას დროებითი განკარგულება, რომელსაც მოდავე მხარეები დაემორჩილებიან ისევ ამ უფლების რეალიზების საჭიროებიდან გამომდინარე. ბავშვს აქვს უფლება, ნახულობდეს ორივე მშობელს, ეს უფლება არაქონებრივია ხოლო მათ მიმართ დროებითი განკარგულებით ბავშვის რჩენის მოთხოვნა, უკვე პირად ქონებრივ უფლებას წარმოადგენს.

1.1დავის განხილვის სპეციფიკა

საერთო სასამართლოებში, საოჯახო დავები განიხილება იმ სპეციფიკის დაცვით, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIII თავითაა რეგულირებული. შესაბამისად, ყოველი ინსტანცია ითვალისწინებს მატერიალურ ნორმებს -საოჯახო სამართლიდან, პროცესუალურ ნორმებს -სამოქალაქო საპროცესო

კოდექსიდან, ხოლო დამატებით ითვალისწინებს XLIII თავის მოთხოვნებს, რომელიც ძირითადად იმიტომ არის კანონში, რომ მისი მეშვეობით მოხდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა.

1.2 უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა

განვიხილოთ სასამართლო ქეისი და გავაანალიზოთ, თუ რა მატერიალური და პროცესუალური ნორმები გამოიყენა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, მოსამართლე ბესარიონ ალავიძის, ეკატერინე გასიტაშვილისა და პაატა ქათამაძის შემადგენლობით, განიხილა საქმე N ას-89-89-2018[5], სადაც მესამე პირად ჩართული იყო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელვაჩაურისა და წალკის რაიონული განყოფილებები, როგორც არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენლები.

კონკრეტული შემთხვევის განხილვა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მასში ჩანს ყველა იმ სამართლებრივ ნორმაზე მითითება/გამოყენება, რომელიც საოჯახო დავებს (რომლებშიც ჩართულნი არიან არასრულწლოვნები) განასხვავებს სხვა სახის დავებისაგან.

საკასაციო სასამართლოში გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინება, სადაც კასატორი ითხოვდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, აგრეთვე, შეგებებული სარჩელის

[5] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N ას-89-89-2018 http://prg.supremecourt.ge/CaseCivilResult.aspx

დაკმაყოფილებას. დავის საგანს წარმოადგენდა არასრულწლოვანთა საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა.

ს.მ-ემ (მოსარჩელე, მოპასუხე შეგებებულ სარჩელზე,მოწინააღმდეგე მხარე) აღძრა სარჩელი მ.მ-ის (მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) მიმართ, არასრულწლოვანი შვილების ა.მ -ისა და ა.მ-ის საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებლის განსაზღვრის მოთხოვნით.

მოსარჩელე სარჩელს ამყარებდა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2006 წლიდან, მხარეები იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. თანაცხოვრებისას შეეძინათ ორი შვილი. მეუღლეთა უთანხმოების გამო, მხარეები დაშორდნენ ერთმანეთს და ამჟამად, მოსარჩელე ცხოვრობს მშობლებთან, წალკის რაიონის სოფელ ბ. ში შვილთან, ანი მ-ესთან ერთად, ხოლო მეორე მშვილს არ აძლევს მამა. ა. განიცდის ძმასთან დაშორებას, არ საუბრობს, არ ჭამს და ითხოვს ძმის დაბრუნებას და მასთან ერთად ცხოვრებას. ა.მ -ს ოჯახის წევრები ემუქრებიან, განიცხდის ზეწოლას, რომ ბავშვმა უარი თქვას დედასთან წასვლაზე, რის გამოც გაუცხოვდა როგორც საკუთარ დასთან,ისევე დედასთან ურთიერთობაში.

მოპასუხემ შეგებებული სარჩელი აღძრა სასამართლოში თავდაპირველი მოსარჩელის მიმართ და მოითხოვა არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს მამის საცხოვრებელი ადგილი.

შეგებებული სარჩელი შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს ეფუძნება: მეუღლეთა შორის არსებული უთანხმოების გამო, შეგებებული მოსარჩელე წავიდა სახლიდან და მათ შორის ფაქტობრივი საოჯახო ურთიერთობა შეწყდა, ხოლო მოგვიანებით, სასამართლოს 2016 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით, მხარეები განქორწინდნენ. თავდაპირველი მოსარჩელე ამის გამო გაღიზიანდა, დაარღვია მხარეთა შორის არსებული შეთანხმება ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით, რომელის თანახმადაც, ა. მუდმივად მამასთან იცხოვრებდა, ხოლო ა. დედასთან. შეგებებულ

მოსარჩელეს ბავშვის აღზრდისთვის ყველა სათანადო პირობა აქვს, ასევე, შეუძლია მატერიალურად უზრუნველყოს ორივე შვილი და შეუქმნას სათანადო პირობები.

მოპასუხემ არ სცნო თავდაპირველი სარჩელი და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელე სასამართლოს აწვდის მცდარ ინფორმაციას, რადგან სახლიდან მოპასუხის წასვლის შემდეგ, შვილი ა.მ არასოდეს წაუყვანია აღსაზრდელად და მამა მზრუნველობს მასზე დაბადებიდან დღემდე. 2012 წლის 25 ივნისს ჩაირიცხა საჯარო სკოლის პირველ კლასში და ამჟამად ირიცხება ამავე სკოლაში. პირველიდან მეხუთე კლასამდე, ბავშვს სკოლა არ გაუცდენია და არც გამოუცვლია. მოსარჩელის განმარტება, თითქოს მამა აღარ აბრუნებს ბავშვს, მოსარჩელესთან მყოფი გოგონა კი, ძმასთან დაშორების შემდეგ, აღარ საუბრობს, არ ჭამს და მუქარისა და ზეწოლის შედეგად უარს აცხადებს დედასთან ურთიერთობაზე, უსაფუძვლოა. თავდაპირველ მოსარჩელეს, შეგებებული სარჩელის წინააღმდეგ შესაგებელი არ წარმოუდგენია.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებით, თავდაპირველი სარჩელი დაკმაყოფილდა, არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შეგებებულმა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით, თავდაპირველი სარჩელის უარყოფა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა და მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის ''ა'' ქვეპუნქტის საფუძველზე საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლის შესაბამისად, თითოეული ბავშვის თითოეულ მშობელთან დამოკიდებულების შეფასების, გაუცხოების აღმოფხვრისა და ბავშვების ოჯახთან გაერთიანების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლის 18 ივლისს მიღებულ იქნა **დროებითი განკარგულება**, საკასაციო პალატამ განკარგა ამავე კოდექსის 354-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობა, რათა დაედგინა არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესები. ამ მიზნით ბავშვების კანონიერ წარმომადგენელს _ სააგენტოს დაევალა ფსიქოლოგიური შემოწმება, ასევე, სოც. მუშაკების მხრიდან შესაბამისი კვლევის განხორციელება. იმ ვითარებაში, როდესაც მართლაც გამოიკვეთა მშობლებისა და შვილების ურთიერთობაში გარკვეული გაუცხოება, „ბავშვის უფლებათა კონვენციით“ გათვალისწინებული არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების, ოჯახთან გაერთიანების, მშობელთა თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის (*მე-3, მე-9, მე-18 მუხლები*), ასევე, ევროკონვენციის მე-8 მუხლით განსაზღვრული პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროში გაუმართლებელი ჩარევის თავიდან აცილების მიზნით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ ყოველი ღონე იხმარა მხარეთა შორის დავის მორიგებით დასრულებისათვის.

საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე,კასაციაში, მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას და სასამართლოს წინაშე იშუამდგომლეს დავის მორიგებით დასრულების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, მიიჩნევს, რომ მათი შუამდგომლობა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმისწარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დავა მშობლებს შორის, არასრულწლოვანი შვილებისთვის წარმოადგენს დამატებით სტრესს, რომლის თავიდან არიდების საშუალება გახდა მორიგება, რომელსაც აქვს შემდეგი ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება.

ერთი მხრივ, მ.მ და, მეორე მხრივ, ს. მ-ე თანხმდებიან, რომ მდგომარეობის სხვაგვარად შეცვლამდე არასრულწლოვანი ა. მ-ის საცხოვრებელი ადგილი განისაზღვრება მამის _ მ. მ-ის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო, არასრულწლოვანი ა. მ-ის საცხოვრებელი ადგილი, დედის _ ს. მ-ის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ს. მ-ე იღებს ვალდებულებას, მდგომარეობის სხვაგვარად შეცვლამდე ,რომელშიც იგულისხმება არასრულწლოვანთა ინტერესები, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თვალსაზრისით, სასკოლო არდადეგების პერიოდში, არანაკლებ არდადეგების პერიოდის ნახევრისა უზრუნველყოს არასრულწლოვანი შვილის _ ა. მ-ის მამის საცხოვრებელ ადგილას მიყვანა და ბავშვის დატოვება მამასთან _ მ. მ-ესთან და ძმასთან _ ა. მ-ესთან ღამის თევის უფლებით. ს. მ-ე კისრულობს ასევე ვალდებულებას, თავად უზრუნველყოს შვილის _ ა. მ-ის დარუნება საკუთარ საცხოვრებელ ადგილას.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგნეტო, როგორც არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენელი, კისრულობს ვალდებულებას, ა. მ-ისა და ს. მ-ის ურთიერთობის აღდგენის მიზნით, გამოყოს ფსიქოლოგი, რომელიც გაწევს ინტენსიურ მუშაობას ა. მ-ესა და დედას _ ს. მ-ეს შორის არსებული გაუცხოების აღმოფხვრისათვის და ხელს შეეწყობს დედა-შვილის შემდგომი ურთიერთობის გაჯანსაღებას. ის მშობელი, რომელთანაც იქნება ბავშვი, ვალდებულია, სსიპ

სოციალური მომსახურების სააგნტოსთან შეთანხმებით, უზრუნველყოს არასრულწლოვნის ვიზიტი ფსიქოლოგთან,აქვე, მხარეები მორიგდნენ, რომ ეს ვიზიტები შეწყდება არდადეგების პერიოდში. კონსულტაციების ხანგრძლივობას განსაზღვრავს ფსიქოლოგი და ყოველი თვის ბოლოს გასცემს დასკვნას ა. მ-ის ფსიქოლოგიური მზაობის თაობაზე, აღადგინოს ურთიერთობა დედასთან _ ს. მ-ესთან.

მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, შვილების ასაკობრივი თავისებურებისა და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით, არ მოახდინონ უარყოფითი გავლენა შვილებზე მეორე მშობლის მიმართ. ხელს შეუწყობენ თითოეულ ბავშვს, შეიქმნან და შემდგომ შეინარჩუნონ, როგორც ერთნამეთთან, ისე _ თითოეულ მშოებლთან თბილი, თანაბარი დამოკიდებულება და საიმედო მიჯაჭვულობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ფსიქოლოგის დასკვნით დადგინდება ა. მ-ის ფსიქოლოგიური და ემოციური მზაობა ურთიერთობა იქონიოს დედასთან _ ს. მ-ესთან, მ. მ-ე უზრუნველყოფს სასკოლო არდადეგების პერიოდში ა. მ-ის მიყვანას დედასთან _ ს. მ-ესთან ღამის თევის უფლებით. ამ ვადის ხანგრძლივობა განისაზღვრება არასრულწლოვნის სურვილის გათვალისწინებით. ბავშვის უკან დაბრუნებაზე პასუხისმგებელია ასევე მ. მ-ე.

მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, მეორე მხარეს სათანადოდ აცნობონ შვილების წაყვანის, უკან დაბრუნებისა თუ მათთან ღამის თევით დარჩენის თაობაზე, ამ მიზნით ისინი ერთმანეთს გაუცვლიან კომუნიკაციის საშუალებებს და უზრუნველყოფენ მშობლისა და შვილის შეუფერხებელ კომუნიკაციას.

მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, განუხრელად შეასრულონ წინამდებარე მორიგების პირობები: არასრულწლოვან შვილებს შეუქმნან მშვიდი და კეთილსაიმედო გარემო, კერძოდ, არ შექმნან ხელოვნური ბარიერები შვილების ორივე მშობელთან ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბების/აღდგენის თვალსაზრისით, ასევე, არ განახორციელონ ბავშვების თავისუფალ ნებაზე

ზემოქმედება ფიზიკურიან ფსიქოლოგიური, ან მათი რომელიმე მშობლის მიმართ დამაშორებელი ქცევა.

წინამდებარე მორიგების აქტის აღსრულებაზე ზედამხედველობას განახორციელებს მესამე პირი _ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო მორიგების პირობების მხარეთა მიერ შეუსრულებლობისას, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო მხარეთა მომარვის საფუძველზე იძულებით აღასრულებს სასამართლო მორიგების აქტს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. საქმის მორიგებით დამთავრების მიზნით, მოსამართლე უფლებამოსილია, თავისი ინიაციტივით ან მხარის შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს ან მხოლოდ მათ წარმომადგენლებს. ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილითა და 83-ე მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებულია მხარეების უფლება საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე დავა მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმებით აღიარებულია მოდავე მხარეთა შესაძლებლობა, გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, თავად გადაწყვიტონ სარჩელის ბედი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მიღწეული მორიგების პირობების თანახმად, არასრულწლოვანთა ოჯახთან გაერთიანება, ასევე, მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1197-ე-1198-ე მუხლებით დეკლარირებული ორივე მშობლის თანასწორუფლებიანობა, ასევე, ვალდებულება, აღზარდონ საზოგადოებისათვის ღირსეული შვილები, არასრულწლოვანთა ნებისა და ინტერესების გათვალისწინებით, სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს ზედამხედველობითა და დახმარებით განხორციელდება, ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები სრულად შეესაბამება საქმეში არსებულ

სპეციალისტთა რეკომენდაციებს, არასრულწლოვანთა ინტერესებს, არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მხარეთა, ასევე, მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმისწარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. მორიგების აქტით, აგრეთვე გაუქმდა ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებები.

მნიშვნელოვანია განვმარტოთ ზოგიერთი საკითხი. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ არასრულწლოვანი შვილი, ძმასთან დაშორების გამო, განიცდიდა სტრესს. არ ჭამდა, არ საუბრობდა და სხვა. აღნიშნული ფაქტი, დადგენილად მიიჩნია პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლომ, თუმცა, მორიგების აქტმა და ფსიქოლოგის ჩართვამ საქმეში, დაიცვა თუ არა ბავშვის საუკეთესო ინტერესები, სადავოა. მხარეები შეთანხმდნენ იგივე მდგომარეობაზე, და-ძმა კვლავ არიან ცალცალკე, რაც თავისმხრივ, სტრესულ ვითარებას ვერ აღმოფხვრის. აღნიშნული უფრო მეტად მშობლების მორიგების საკითხია და მიმაჩნია, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესში არ შედის მისი დაშორება და-ძმებთან.

1.3 სასამართლო გადაწყვეტილების შეფასება და დავის წარმართვის გზა

რეზიუმე რომ გავაკეთოთ, სარჩელი შეტანილ იქნა მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით, განჩინებით საქმეში ჩართულ იქნა და რიგი დასკვნები გააკეთა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ, აგრეთვე, ჩაერთო ფსიქოლოგი, კასაციამაც კი დანიშნა ზეპირი მოსმენა საიმისოდ, რომ ყოველგვარი

შესაძლებლობა მიეცათ მხარეებისთვის მოსარიგებლად, თუმცა ეს მორიგება, არის თუ არა, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გამტარებელი, სადავოა.

საქმის მიმოხილვისას, მკითხველისათვის ნათელი ხდება, როგორ უნდა მოხდეს მოთხოვნის დაყენება პირველ ინსტანციაში, გამოყენებულია ისეთი პროცესუალური ინსტრუმენტები, როგორიცაა შეგებებული სარჩელი, აპელაცია, კასაცია და ჩანს პრეცედენტი, როდესაც კასაციამ ჩართო საქმეში ფსიქოლოგი. აღნიშნული არის მოსამართლის აქტიურობის პრინციპი, როგორც შეჯიბრებითობის პრინციპის არა მტერი, არამედ დამხმარე, საიმისოდ,რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები, არცერთ ინსტანციაში იყოს უგულებელყოფილი.

ამ საქმეში, შუამდგომლობა დროებითი განკარგულების გამოცემის შესახებ, მესამე ინსტანციაში იქნა დაყენებული, რაც მკითხველს აძლევს ცოდნას საიმისოდ, რომ დავის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ საკითხის დროებითი რეგულირება.

ამავე საქმეში, სამივე ინსტანციის მოვლის შემდგომ, მხარეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, მორიგებულიყვნენ. არბიტრაჟი (დასანერგია) მედიაცია (სავალდებულოა უკვე საოჯახო დავებში) , სასამართლოს მცდელობა, მორიგებისთვის, ყოველთვის არის საშუალება მხარეებისათვის, გადაწყვეტილებაში ჩაიწეროს მათთვის სასურველი შედეგი და ამასთან, ბავშვებისთვის ემოციურად რთული არ იყოს ის ფაქტი,რომ მათი მშობლები ცხოვრობენ დავის პირობებში და მათ საერთო ინტერესი-შვილების კეთილდღეობა, მათი აღზრდა - განვითარება- არ გააჩნიათ.

თავი 2. ნორმები, რომლებიც ეხება ბავშვს და გამოიყენება დროებითი განკარგულებების მიღებისას

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება გულისხმობს მართლმსაჯულების ისეთ სისტემას, რომელიც ქმნის ბავშვის უფლებათა ეფექტური განხორციელების გარანტიას, ბავშის უფლებათა დაცვის პრინციპების, ბავშვის ინდივიდუალური განვითარების დასაქმის გარემოებების მხედველობაში მიღებით. ბავშვზე მორგებული სასამართლო ნიშნავს სასამართლოს, რომელიც არის მისაწვდომი, ასაკთანშესაბამისი, სწრაფი, თანმიმდევრული, ბავშვის უფლებებსა და საჭიროებებზე მორგებული. ეს არის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშის უფლებების დაცვას სამართლიანი სასამართლო პროცესის, სასამართლო პროცესში მონაწილეობისა და ინფორმირების, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პატივისა და ღირსების პატივისცემის შესახებ. [6]

როდესაც სამართლებრივ მექანიზმებზე ვსაუბრობთ, რომლებიც შეეხება ბავშვს და იცავს მის საუკეთესო მათ შორის საოჯახო დავების განხილვის დროს, მცირედით უნდა შევეხოთ სამართლებრივი აქტების იერარქიას,რათა თვალსაჩინო იყოს ნორმის მიზანი, თუ რომელი საერთაშორისო და შიდასამართლებრივ დონეზე აღიარებული უფლების დასაცავად ჩაიწერა კანონში ესა თუ ის რეგულაცია. საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ [7] იერარქიულად ამტკიცებს, რომ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია [8] , საქართველოს კონსტიტუციის[9] შემდეგ, იერარქიით დგას საქართველოს ყველა კანონზე და ორგანულ კანონზე მაღლა. კონსტიტუციის მე-7 და 30-ე მუხლები ''ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მათ ჩართვაზე'', აგრეთვე 30-ე მუხლი ''დედათა და ბავშვთა

---

[6] ევროპის საბჭო . (2014). ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ. განმარტება ., (გვ. 17). სტრასბურგი.

[7] https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=31 02.06.2020

[8] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0 02.06.2019

[9] https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35 02.06.2020

უფლებები დაცულია კანონით" არ ქმნის მყარ კონსტიტუციურ გარანტიებს, ბავშვის, როგორც უფლების მატარებელი დამოუკიდებელი სუბიექტის უფლების დასაცავად. შესაბამისად, განსახილველია იერარქიით უფრო ქვემოთ მდგომი კანონები, რათა დავასკვნათ, არის თუ არა სათანადო დაცვის მექანიზმები კანონით გაწერილი.

შიდასამართლებრივი ნორმები, რომელთა დახმარებითაც შეგვიძლია მიმდინარე დავის დროს დავიცვათ ბავშების საუკეთესო ინტერესები.

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
4. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
5. კანონი სახალხო დამცველის შესახებ
6. კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ
7. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
8. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
9. კანონი იურიდიული დახმარების შესახებ
10. კანონი ბაჟის შესახებ
11. კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ
12. კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ
13. კანონი ზოგადი განათლების შესახებ
14. კანონი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ
15. კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ
16. კანონი პაციენტის უფლებების შესახებ
17. კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ
18. კანონი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ

19. კანონი ოჯახში ძალადობის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ
20. კანონი სოციალური დახმარების შესახებ
21. კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ
22. კანონი სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ
23. კანონი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ
24. კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ
25. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ
26. კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ
27. კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ
28. კანონი გარემოს დაცვის შესახებ
29. კანონი ტრანსპორტის შესახებ
30. კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ

ნორმათა ჩამონათვალი, ერთის მხრივ ძალიან ვრცელია, თუმცა, ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ დავის პროცესში, რიგი უფლებებია გასათვალისწინებელი და დასაცავი, ამიტომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინება მის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას, ბავშვის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებასა და სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცესში, დისკრიმინაციისაგან ბავშის დაცვის სამართლებრივი გარანტიები, ბავშვის ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე, იურიდიულ დახმარებასა და წარმომადგებლობაზე, ბავშვის უფლების დარღვევის შემთხვევაში ან/და სამართალწარმოების პროცესში, ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვა, ზიანის ანაზღაურება და კომპენსაცია, ბავშვთან მომშავე პროფესიონალთა სპეციალიზაცია, გამომდინარე

იქიდან, რომ ბავშვთა დაცვის თვალსაზრისით ძირითად უფლებათა შორის პრიორიტეტულია ბავშის უფლება განათლებაზე, ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვაზე, აუცილებლად უნდა ვისაუბროთ, უფლების უზრუნველყოფის სამართლებრივ გარანტიებზე, ეროვნიული კანონმდებლობის ჭრილში. და რაც მთავარია, უნდა დავდოთ სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც ცალსახად შეძლებს, რომ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, ნათლად დაანახოს, მოდავე მშობლებიდან, რომელს ექნება უკეთესი გარანტიები საიმისოდ, რომ უფლებები იყოს დაცული.

დროებითი განკარგულებით რეგულაციების მოთხოვნათა ჩამონათვალში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლი) ვკითხულობთ, რომ სასამართლოს შეუძლია მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე მიიღოს დროებითი განკარგულება, რათა მოაწესრიგოს:

ა) შვილის მიმართ მშობელთა ზრუნვის საკითხები;

ბ)ერთ-ერთი მშობლის ურთიერთობა ბავშვთან;

გ) ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა ერთ-ერთი მშობლისთვის;

დ)მცირეწლოვანი ბავშვის შენახვის ვალდებულება;

პირველი ოთხი პუნქტი, აპრიორი ბავშვთან ურთიერთობის საკითხებს ეხება, ხოლო შემდეგი საკითხები (ე,ვ,ზ ქვეპუნქტები) მოიცავს ერთერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლისთვის მატერიალური დახმარების გაწევის, საოჯახო მეურნეობისა და ბინით სარგებლობის,ხარჯების ავანსის სახით გადახდევინების საკითხებს. დროებითი რეგულაცია, რომელიც დგინდება მხარის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე, არ არის გავლენის მომხდენი სასამართლოს მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებაზე და წარმოადგენს მხოლოდ დროებით განკარგულებას, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება და შესასრულებლად სავალდებულოა.

დროებითი განკარგულების მოთხოვნის უფლება, ორ ნაწილად უნდა გავყოთ, ერთი, ეს არის ბავშვთან დაკავშირებით,ხოლო მეორე მატერიალური სახის, რომელიც აგრეთვე შეიძლება შეეხებოდეს ბავშვს და შესაბამისად, აუცილებელია, განვიხილოთ თითოეული მათგანი ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან მიმართებაში.

2.1 ბავშვის საუკეთესო ინტერესის განმარტება

ევროპის საბჭოს კომიტეტი [10] განმარტავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება სამგანზომილებიანია.

ა) მატერიალური უფლება: ბავშვის (ბავშვთა ჯგუფის, ზოგადად ბავშვების) უფლება მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და დაეთმოს უპირველესი ყურადღება მასთან დაკავშირებით ნებისმიერ საკთხზე გადაწყვეტილების მისაღებად. ესაა კონვენციით დადგენილი. სახელმწიფოს არსებითი ვალდებულება, რომელიც პირდაპირ უნდა იქნეს გამოყენებული და დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრდეს სასამართლოში.

ბ) ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპი: თუ ეროვნულ კანონში, სამართლებრივი ნორმა იძლევა ერთზე მეტი განმარტების საშუალებას, გამოყენებულ უნდა იქნას ის განმარტება, რომელიც ყველაზე მეტად ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, როგორც მოცემულია კონვენციასა და მის დამატებით ოქმში.

გ) საპროცესო ნორმა : ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა, მოითხოვს საუკეთესო გარანტიებს, უფრო მეტიც, ბავშვთან,

---

10 ევროპის საბჭოს ბავშვის უფლებათა კომიტეტი . ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N14 ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების შესახებ პარაგრაფი 16 . სტრასბურგი.

ბავშვთა ჯგუფთან ანზგადად ბავშვებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს ამ უფლების უპირატესად გათვალისწინების დასაბუთებას. კერძოდ, დასაბუთებაში უნდა იქნას ახსნილი, რა იქნა მიჩნეული ბავშვის საუკეთესო ინტერესებად; რა კრიტერიუმებს დაეფუძნა ასეთი მსჯელობა და როგორ იქნა დადგენილი ბავშვის საუკეთესო ინტერესები სხვა პირთა ინტერესებთან მიმართებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ ამ სამ განზომილებას განვიხილავთ ერთიან, პროცესუალურ კონტექსტში, შიდანორმატიული რეგულირება უნდა იყოს ზუსტი და თანმიმდევრული საიმისოდ, რომ კანონმა დაიცვას ბავშვის საუკეთესო ინტერესები და შინარჩუნოს ბალანსი სხვა პირთა და სახელმწიფოს ინტერესებთან.

2.1.1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი [11]

სამოქალაქო კოდექსი მიუთითებს, რომ მშობლები უფლებამოსილნი და ვალდებულები არიან აღზარდონ თავიანთი შვილები,იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისთვის. აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებთან მათი ''ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით'' [12]. გარდა ამისა, სამოქალქო კოდექსი ადგენს, რომ მშობლებს ევალებათ დაივან თავიანთი არასრულწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები , რაც მოიცავს შვილების ქონების მართვასა და გამოყენებას. [13]

დასაწყისშივე უნდა ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ '' საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების '' პრინციპი აღნიშნულია მხოლოდ მშობელთა მიერ ბავშვის აღზრდის მოვალეობასთან მიმართებაში დაარა ყველა

[11] https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=108
[12] სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 1198.1
[13] სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 1198.4

უფლებასთან დაკავშირებით. არ არის კანონში ნახსენები ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის ბავშვის წარმომადგენლობა მესამე პირებთან ურთიერთობებში და ბავშვის ქონების მართვა. ''კანონი არ ადგენს ბავშვის ქონებრივი უფლების დაცვის მყარ სამართლებრივ გარანტიებს მშობელთა მიერ მისი ქონების განკარგვის უფლების ბოროტად გამოყენების რისკების თავიდან აცილებისთვის. ''[14]

სამოქალაქო კოდექსის თანახმად, სასამართლო განხილვას ექვემდებარება ბავშვთა მონაწილეობით შემდეგი საკითხების განხილვა: ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში[15]; ბავშვის აღზრდის საკითხების გადაწყვეტა მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევებში[16]; მშობლის უფლება-მოვალეობების შეზღუდვასასამართლოს მიერ, თუმცა მას უნარჩუნდება ბავშვის რჩენის ვალდებულება[17]; მშობლის უფლება-მოვალეობების ჩამორთმევა (მათ შორის 14 წელს მიღწეული ბავშვის ინიციატივით) [18]; მშობლის უფლება-მოვალეობების აღდგენა[19]; ბავშვის აყვანის შესახებ გადაწყვეტილება [20];

თითოეული ზემოჩამოთვლილი მოცემულობა, შესაძლოა დროებით იყოს დავის საგანი და დარეგულირდეს დავის გადაწყვეტამდე დროებითი

---

[14] ზარნაძე, ე. (2007 წლის N1). მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამართლოს დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურება. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სამეცნიერო ჟურნალების სტატიათა კატალოგი* .

[15] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 1201.1
[16] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 1200
[17] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 1205
[18] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 1206
[19] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 1209
[20] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მუხლი 12014

განკარგულებით, შესაბამისად, ჩამონათვალში მათ განმარტებას არ გავაკეთებ.[21]

სამოქალაქო კოდექსთან დაკავშრებით, აუცილებელ რეკომენდაციად მიმაჩნია სამოქალაქო კოდექსმა აღიაროს, საუკეთესო ინტერესების გატარების აუცილებლობა, როგორც მატერიალურ, ასევე არამატერიალურ უფლებებთან მიმართებაში და ამ კუთხით განიმარტოს, რომ ბავშვს უნდა ჰქონდეს თავდაცვის საშუალება, როდესაც რომელიმე მშობელი განკარგავს მის კუთვნილ ქონებას. კანონმა უნდა აღიაროს, რომ ისეთი ფუნდამენტური უფლება, როგორიც არის საკუთრების უფლება, ვრცელდება ბავშვზეც და ამ კუთხით, მშობლებს უნდა ჰქონდეთ ვალდებულება, დაიცვან ბავშვების ქონება, ისევე, როგორც საკუთარი, თუმცა განკარგვისას გაითვალისწინოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ამ სახის დავებზე მიღებული გადაწყვეტილება კი უნდა ექვემდებარებოდეს გასაჩვრებას.

2.1.2 სამოქალაქო საპროცესო კოდექსი [22]

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამბობს, რომ 7-დან 18 წლამდე არასრულწოვანთა ინტრესებს და კანონით დაცულ უფლებებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები ან მზრუნველები. ამასთანავე, სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწოვნებიც. მცირეწლოვნის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავს მისი კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლო უფლებამოსილია არასრულწოვანიც ჩააბას. [23]

როგორც შესავალში უკვე მივუთითე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, ცალკე თავით რეგულირდება საოჯახო დავები. კანონმდებელი ერთი მხრივ,

---

[21] იხ. დროებითი განკარგულების თავი
[22] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=140 02.06.2019
[23] სამოქალაქო საპროცესო კოდექსი .მუხლი 249.4

ცდილობს, მაღალი რეგულაციები დააწესოს,გამომდინარე საკითხის სენსიტიურობიდან, მეორე მხრივ კი სრულად ვერ ახდენს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას. განვიხილოთ დეტალურად:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIII თავი არეგულირებს საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებებს. კანონი უთითებს, რომ ამ თავის გამოყენება ხდება მხოლოდ საოჯახო დავებში და წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო ნორმების დამატებას. [24]

მთავარი განსხვავება, რომელიც სხვა სახის დავებისგან განასხვავებს საოჯახო დავებს, არის შეჯიბრებითობის პრინციპის [25] უკანდახევა, დისპოზიციურობის პრინციპის ხარჯზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის ''თ ქვეპუნქტი ავალდებულებს მოსარჩელეს, სარჩელში მიუთითოს იმ სამართლებრივ საფუძვლებზე, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს, თუმცა ასეთის მიუთითებლობა ან ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასება არ შეიძლება იყოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. განვიხილოთ ყოველივე ეს საოჯახო დავებთან მიმართებაში. მხარის მიერ სარჩელში ფაქტობრივი გარემოებების მატერიალურ-სამართლებრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენა სასამართლოს უფლებაცაა და ვალდებულებაც. დავის სამართლებრივი შეფასებისას, მოსამართლე სრულიად დამოუკიდებელია, განსხვავებით პროცესის ფაქტობრივ საფუძვლებზე მუშაობისგან და არი არის შებოჭილი არც დისპოზიციით და არც შეჯიბრებითობით. შეჯიბრებითობიდან და დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ აღძრან თუ არა საქმე სასამართლოში. საოჯახო დავებში, ამგავრი დავების დაწყება შეუძლია

[24] სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მუხლი 352

[25] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა N ას-17-355-0922 ივნისი, 2009წ.ქ. თბილისი

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, რათა მოახდინოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა, თუ იგი მიიჩნევს, რომ ეს უფლებები ოჯახური ცხოვრებით ბავშვს ერღვევა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების შესრულებასთან ერთად, მხარეებმა მოსამართლეს უნდა მოახსენონ საქმის ფაქტობრივი გარეოებები, რომლებზეც მხარე ამყარებს თავის მოთხოვნას და მოთხოვნის შინაარსი. საოჯახო დავებში, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ დავაში, მოთხოვნის ნაწილში, მოსამართლე ვერ იჭრება, თუმცა აქ შემოდის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების დამატებითი უფლებამოსილება, ისევე, როგორც შეკითხვების დასმისა და გამოკვლევის, საიმისოდ, რომ ბავშვის ინტერესების უგულებელყოფა არ მოხდეს იმის ხარჯზე, რომ მხარეებმა რომელიმე კონკრეტული საქმის გარემოება დამალეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიზანშეწონილია, მაგრამ არა აუცილებელი, თუ მხარე მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზეც მიუთითებს, ნორმებზე ამგვარი მითითება სასამართლოსათვის არც აუცილებელია და არც შემზღუდველი. სასამართლოს ნორმაშეფარდებითი საქმიანობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც დასაცავია საუკეთესო ინტერესები. სასამართლომ, უნდა გამოიყენოს როგორც შიდა, ისევე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები.

სამოქალაქო დავები, რომლებშიც არასრულწლოვნები მონაწილეობენ, ერთერთი ყველაზე სენსიტიური დავებია. ერთია, ბავშვის საუკეთესო ინტერესები და მეორე, მშობლების ემოციური მდგომარეობა. ხშირად არის, რომ გართულებული ურთიერთობის ფონზე, მეუღლეებს შორის, აღარავის ახსოვს ბავშვი,მისი სურვილები და ინტერესები. ამ დროს, მოსამართლის ფართო უფლებამოსილება,განჩინებით ჩართოს საქმეში სოციალური

სამსახური, როგორც არასრულწლოვანთა ინტერესების დამცველი, საჭირო და აუცილებელია.

წინა აბზაცებში განვითარებულ მსჯელობას, ზუსტ დეფინიციას აძლევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლი.[26] პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით განსაზღვროს, დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ, თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები,რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ. მეორე ნაწილში კი ვკითხულობთ, რომ საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები, არ შეიძლება განიხილებოდეს სხვა ხასიათის მოთხოვნების შესახებ აღძრულ საქმეებთან ერთად.

მიუხედავად გარანტიებისა, რომლებზეც უკვე ვისაუბრეთ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ადგენს სპეციფიკურ საპროცესო გარანტიებს და ბავშვთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების სათანადოდ დასაბუთების წესს.

მივიჩნევ, რომ უნდა დადგინდეს საკანონმდებლო მოთხოვნები, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გამოიყენოს სასამართლომ მულტიდისციპლინური მიდგომა საუკეთესო ინტერესების დასადგენად და ჩართულნი უნდა იყვნენ სხვადასხვა სპეციალისტები. გადაწყვეტილების მიღების დროულობა და გადასინჯვის შესაძლებლობა, ბავშვის ზრდადი განვითარების გათვალისწინებით. სასამართლო პირდაპირ უნდა დავავალდებულოთ, ახსნას გადაწყვეტილებაში, რა იქნა მიჩნეული ბავშვის საუკეთესო ინტერესებად, რა კრიტერიუმებს დაეფუძნა მსჯელობა , როგორ იქნა დადგენილი საუკეთესო ინტერესები და როგორ იქნა იგი პრივილეგირებული, სხვა პირთა ან უწყებათა ინტერესებთან მიმართებაში.

[26] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=140 04.06.2020

ქვეთავის შეჯამებისათვის, უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ გვაწვდის განმარტებას, ან რაიმე მითითებას იმის შესახებ, რომ უნდა მოვისმინიოთ ბავშვის მოსაზრება და სათანადოდ გავთვალისწინოთ ის. არცერთ მუხლში არ არის განმარტებული, თუ რას გულისხმობს ბავშვის "საქმეში ჩაბმა", შესაბამისად, ამ საკითხის განმარტება და გადაწყვეტა, პრაქტიკაში დამოკიდებულია ინდივიდუალურ მოსამართლეზე, რაც ვერ უზრუნველყოფს ბავშის უშუალოდ მოსმენისა და მისი მოსაზრებების სათანადოდ გათვალისინების უფლებას. ბავშვს უნდა მოუსმინონ ყოველთვის, როდესაც მას სურს აზრის გამოთქმა.

თავი 3. დროებითი განკარგულება

პრაქტიკაში, ხშირია შემთხვევები, როდესაც დროებითი განკარგულებით, რეგულირდება რომელიმე მშობლის ბავშვთან ურთიერთობის საკითხები, თუმცა განკარგულება ვერ აღსრულდება, რადგანაც ბავშვებს არ სურთ, ან მეტი დროის გატარება სურთ რომელიმე მშობელთან.

იმის გამო, რომ მოსამართლეს არ მოუსმენია ბავშვის სურვილი,უშუალოდ დროებითი განკარგულების ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას, ან განიხილა ზეპირი მოსმენით, თუმცა არ ჰკითხა აზრი ბავშვს, აღსრულება შეუძლებელია. სასამართლოსთვის უცნობია, რა სურს ბავშვს, მაგრამ ის იღებს დროებით განკარგულებას. მშობელი, რომელთანაც ბავშვი დიდ დროს ატარებს, მუდმივად ინარჩუნებს საშუალებას, მოახდინოს ბავშვით მანიპულირება და მხარეს/სასამართლოს დააჯეროს, რომ მეორე მშობელთან ურთიერთობა ბავშვს უბრალოდ არ სურს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის მიხედვით, [27] შეუსრულებლობა ისჯება ჯარიმით, ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ვადით სამ წლამდე.

მუხლის დეფინიცია ცალსახაა, დროებითი განკარგულების დროს კი, როდესაც განსიაზღვრა რომელიმე მშობლის შვილთან დროის გატარების საათები, შესაძლებელია ბავშვი იყოს ძალადობის მსხვერპლი და არ მიდიოდეს მეორე მშობელთან, ან უბრალოდ არ სურდეს წასვლა, რაც მხარეს იძულებულს ხდის, დროებითი გადაწყვეტილება აღასრულოს პოლიციის მეშვეობით, რაც იწვევს საქმის აღძვრას 381-ე მუხლით და კიდევ უფრო ძაბავს მშობლებს შორის არსებულ ურთიერთობას.

[27] https://matsne.gov.ge/ka/document/view/24712?publication=0 04.06.2020

მიმაჩნია, რომ სოციალურ მუშაკებს, სასამართლოს, სხვა პირებს, უნდა გააჩნდეთ უშუალო ვალდებულება, მოუსმინონ ბავშვს ყოველთვის, როცა მას აზრის გამოხატვა სურს და მხოლოდ ამის შემდეგ, გადადგან ყოველი მომდევნო ნაბიჯი, საკითხის დასარეგულირებლად.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასამართლოს უნდა ჰქონდეს ვალდებულება, უშუალოდ მოუსმინოს ბავშვს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს ნებისმიერი მუდმივი თუ დროებითი გადაწყვეტილება.

3.1 ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის როლი ბავშვთან დაკავშირებულ წარმოებაში

დეტალური მიმოხილვა, ნაშრომის მთავარ სათქმელს აგვაცილებს, თუმცა აუცილებელია, ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხს შევეხოთ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განსაზღვრავს ადმინსიტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის და განცხადების განხილვის წესს,მიზნად ისახავს უზრუნველყოს ადმინისტრაიცული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. [28]

წინამდებარე მოცემულობა, საოჯახო საკითხებში ვლინდება ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსების, ანტისოციალური ქცევის დროს გადამისამართების ღონისძიების, ძალადობისაგან ბავშვის დაცვის და სხვა საკითხები. თუმცა, კოდექსი არ ასახავს ბავშვის უფლებას მისი საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინებაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესს და პროცედურას.

[28] https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=34 04.06.2020 მუხლი 1 (1.2)

მჭიდრო კავშირშია ბავშვთან დაკავშირებული დავების განხილვისას სოციალური დახმარების შესახებ კანონი, ისევე, როგორც კანონი სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კი, ოჯახი ხდება ჩართული საოჯახო დავაში, წინა პლანზე იწევს ზემოაღნიშნულ ნორმათა მოქმედება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გასათვალისწინებლად.

მიუხედავად იმისა,რომ რიგი ნორმები არ ყოფილა დეტალურად განხილული, შეჯამებისთვის უნდა აღვნიშნოთ:

- უფლების აღიარებას ვერ ექნება რეალური შინაარსი, თუ არ გვექნება ეფექტური სამართლებრივი დაცვის მექანიზმი;
- ბავშვის განსაკუთრებული და მშობლებზე დამოკიდებული სტატუსი, რეალურ სირთულეებს ქმნის მათი უფლებების დაცვის გზაზე.
- პროცედურა, რომელიც ხორციელდება დავის ნებისმიერ ეტაპზე, კანონით უნდა იყოს ზუსტად გაწერილი და მორგებული ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად.

შემდეგ თავში, ვისაუბრებთ, ადმინისტრაციული ორგანოს ჩართვაზე სასამართლოს მიერ და განვმარტავთ მათ მნიშვნელობას, როგორც აუცილებელ მექანიზმს, საოჯახო დავებში მისაღები გადაწყვეტილებების სამართლიანობასა და ობიექტურობაზე.

თავი 4. განჩინება სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის და სხვა პირთა საქმეში ჩართვასთან დაკავშირებით

განქორწინების, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის და ბავშვებთან დაკავშირებით სხვა სახის დავების შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია ბავშვების საუკეთესო ინტერესების დასაცავად საქმეში ჩართოს სოციალური სამსახური.

საქმეები, რომლებშიც სააპელაციო სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება, შემდგომ კი წავიდა უზენაეს სასამართლოში, ადვილად ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის, თუმცა, ვინაიდან საქმის მთელი წარმოება ხდება პირველ ინსტანციაში და რეალურად, ფაქტებისა და ინტერესების დადგენა ხდება რაიონულ/საქალაქო სასამართლოებში, უნდა განვიხილოთ, რა სახის განჩინებებს იღებს სასამართლო, საქმის იმგვარი წარმართვისათვის, რომ ეს ინტერესები არ იყოს უგულებელყოფილი. განხილვას მოვახდენთ მიმდინარე საქმის განხილვით, რომელიც გვაჩვენებს ყველა პროცესუალურ მექანიზმს, რომელიც მოქმედებს საოჯახო დავის დაწყებისას.

4.1 პრაქტიკა პირველი ინსტანციის სასამართლოში

საქმეზე N 2/665-18 მცხეთის რაიონულ სასამართლოს 2018 წლის 15 აგვისტოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ლ.წ-მ მოპასუხე მ.ფ-ს მიმართ განქორწინების, ალიმენტის დაკისრების და არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის, ბავშვის მიკუთვნების მოთხოვნით.

მოსამზადებელ სხდომაზევე, სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია სოციალური სამსახურის და მათი ფსიქოლოგის ჩართვა, ვინაიდან დავა ეხება არასრულწლოვანთა ინტერესებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კდოექსის მე-4 უხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებათა გასარკვევად, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ამავე კოდექსის 354-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საოჯახო საქმეთა განხილვის დროს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა -განმარტების შემდეგ, თვითონ გამოითხოვონ მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.

ბავშვთა უფლებათა შესახებ კონვენციის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი,სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამარართლოები,ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

მონაწილე სახელმწიფლები ითვალისწინებენ რა ბავშვის მშობლის, ბავშვის მიმართ პასუხისმგებლობის მტვირთველი კანონიერი მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ ბავშვი, ისეთი დაცვითა და მზრუნველობით, რომელიც აუცილებელია მისი კეთილდღეობისათვის და ამისათვის იღებენ ყველა საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას. ამავე კონვენციის მე-8 მხულის1-ლი პუნქტის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ პატივი სცენ ბავშის უფლებას, შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალურობა, მათ შორის მოქალაქეობა,ს ახელი და ოჯახური ურთიერთობა, როგორც გათვალისწინებულია კანონით და ამასთან, არ დაუშვან კანონსაწინააღმდეგო ჩარევა.

იმის გათვალისწინებით, რომ მხარეებს შორის მიმდინარეობდა და ბავშვებთან ურთიერთობის წესის და საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე, რომელიც

ეხება არასრულწლოვანი მ.ფ - სა და ე.ფ-ს ინტერესებს, არასრულწლოვნების ინტერესების გათვალისწინებით, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია ფსიქოლოგის მოწვევა, იმის გასარკვევად, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ ბავშვებს მშობლებთან, როგორია მათი დამოკიდებულება სადავო საკითხებთან დაკავშირებით და შეისწავლოს ბავშვების ფსიქოლოგიური მდგომარეობა.

4.2 ფსიქოლოგის როლი დროებითი განკარგულების მიღების დროს

აღნიშნულს საქმეზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ საჭიროა ბავშვების ინტერესების დაცვის მიზნით, რათა ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად ჩამოყალიბდნენ, საქმეში ჩაერთოს ფსიქოლოგი,აგრეთვე, სასამართლომ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგმა შეისწავლოს განჩინებაში მითითებული საკითხები და წარმოადგინოს დასკვნა, განსახილველ საკითხზე ბავშვების თავისუფალი ნებით, ბავშვების დედასთან და მამასთან ურთიერთობაზე დაკვირვებით, ამასთან ფსიქოლოგის მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ნებისმიერი საკითხის გამოკვლევის შედეგად წარმოადგინოს რეკომენდაცია იმის თაობაზე, თუ რას მიიჩნევს პრობლემების აღმოფხვრის საშუალებად.

სასამართლომ იხელმძღვანეა სსსკ მე-4, 354-ე, 203-ე, 216-ე და 284-285-ე და 414-ე მუხლებით და საქმეში ჩართო ფსიქოლოგი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ცენტრიდან, რომელსაც დაავალა, სეანსის დროს, ბავშვებს ეპასუხათ შემდეგ კითხვებზე:

1. არასრულწლოვანი მ და ე ფოლადიშვილების ასაკობრივი და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელ მშობელთან უფრო პრიორიტეტული იქნება მათი დარჩენა, მათი გონებრივი, სულიერი, სოციალური და ფსიქიკური განვითარებისთვის: როგორია თითოეული ბავშვის ემოციური მიჯაჭვულობა , რომელ მშობელს შეეძლება ბავშვების ემოციური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის უკეთ მხარდაჭერა;

2. მითითებულ იქნას რისკები, რომელიც შეიძლება ახლდეს ბავშვების დარჩენას მამის ან დედის ოჯახში;
3. ბავშვების ასაკის გათვალისწინებით, მათი ინტერესების დაცვის მიზნით, რომელი რისკის აცილება იქნება უფრო მნიშვნელოვანი;
4. არიან თუ არა არასრულწლოვნები მამის და დედის ოჯახის მხრიდან ფსიქოლოგიური ან სხვა სახის ზეწოლის მსხვერპლნი, ან არსებობს თუ არა ამგვარი რისკი;
5. ბავშების ასაკის გათვალისწინებით, თითოეულ მშობელთან ნახვის საათების როგორი გადანაწილება იქნება რეკომენდირებული/ოპტიმალური;
6. რომელ მშობელს შეუძლია ბავშვისთვის სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და უწყვეტობის უზრუნველყოფა;
7. ლ.წ და მისი შვილების ურთიერთობის იძულებით შეწყვეტის შედეგად, ხომ არ არის დარღვეული მშობელსა და ბავშვებსშორის ემოციური ჯაჭვი და ამგვარის არსებობის შემთხვევაში, როგორ უნდა მოხდეს ემოციური კავშირის აღდგენა, ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, რა გავლენა მოახდინა ლ.წ-ს დაშორებამ არასრულწლოვანი შვილების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. ხომ არ გამოუწვევია ამ ფაქტს არასრულწლოვანთა ფსიქო-ემოციური მდგომარეობის დარღვევა ან გაუარესება;
8. დღეის მდგომარეობით, როგორია არასრულწლოვანი მ და ე ფ-ების ფიზიკური და ფსიქოემოციური მდგომარეობა მამასთან ცხოვრების და მასთან ყოფნის პირობებში;
9. დღეის მდგომარეობით, როგორია არასრულწლოვანი მ და ე ფ-ების ფსიქოლოგიური მდგომარეობა და მათი დამოკიდებულება მშობლებთან
10. დღეის მდგომარეობით, ბავშვის ასაკისა და სქესის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია თუ არა, არასრულწლოვანი მ და ე-ს ცხოვრება მამასთან, მამის მეორე ცოლთან და როგორ აისახება ეს ბავშვების ემოციურ მდგომარეობაზე.

მნიშვნელოვანია, რომ ფსიქოლოგს აგრეთვე დაევალა, მოცემულ საქმეზე დავის საგნიდან გამომდინარე, შეესწავლა და გამოეკვლია ზემოაღნიშნული საკითხები და წარმოედგინა დასკვნა განსახილველ საქმეებზე ბავშვების თავისუფალი ნების, ბავშის მამასთან და დედასთან ურთიერთობაზე დაკვირვებით, აგრეთვე ფსიქოლოგის მიერ მიზანშწონილად მიჩნეული ნებისმიერი საკითხის გამოკვლეის შედეგად წარმოედგინა რეკომენდაცია იმის თაობაზე, თუ რას მიიჩნევს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პრობლემის აღმოფხვრის საშუალებად და რა უნდა იქნას გათვალისწინებული ბავშების სამომავლო პიროვნული განვითარებისა და უსაფრთხო გარემოში ყოფნისათვის.

აღნიშნულ საქმეზე, სოციალური მომსახურების სააგენტოს ფსიქოლოგის დასკვნა, სასამართლომ მტკიცებულებად არ მიიღო, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე, შუამდგომლობა კი ეყრდნობოდა შემდეგ დასაბუთებას:

1. ფსიქოლოგს, დასკვნაში მ და ე ფ-ების სახელები მოხსენიებული ჰქონდა როგორც ნ და ი. მოსარჩელემ დაასაბუთა, რომ ვინაიდან ფსიქოლოგის უშუალო მოვალეობას წარმოადგენს არასრულწლოვნების ფსიქო-ემოციური მდგომარეობის დადგენა, შეუძლებელია, ბავშვები არ გაიცნო, არ შეხვიდე მათთან ახლომეგობრულ კონტაქტში, არ დაიმახსოვრო და გაიზიარო მათი თითოეული ფიქრი და ისე დაწერო დასკვნა, რომელიც სამომავლოდ უდიდეს გავლენას მოახდენს ბავშვების ცხოვრებაზე. ფსიქოლოგმა ბავშვების სახელებიც კი არ იცოდა, რაც ნიშნავს იმას, რომ არ ჩაუტარებია სათანადო მოკვლევა საკითხის ირგვლივ.
2. საქმის გარემოებებიდან დგინდება, რომ ბავშვები დავის მიმდინარეობის დროს, დედისგან იძულებით, ცხოვრობენ მამასთან. ფსიქოლოგმა ბავშვები გამოკითხა მხოლოდ მამის საცხოვრებელ ადგილას და სოციალური მომსახურების სააგენტოში. რაც შეეხება დედის საცხოვრებელ ადგილს, აღნიშნულ ადგილზე ფსიქოლოგს ვიზიტი არ განუხორციელებია. ბავშვებს

არ ჰქონიათ საშუალება, მშობლებისაგან დამოუკიდებლად ესაუბრათ ფსიქოლოგთან, ისევე, როგორც სოციალურ მუშაკთან.

3. დასკვნა გაჯერებული იყო ფრაზებით, რომლებიც მოსარჩელემ არაერთხელ მოისმინა პროცესზე და აღვივებდა დედის მიმართ შვილების ზიზღს.

სასამართლომ, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე, არ გაითვალისწინა აღნიშნული დასკვნა და მხარისავე შუამდგომლობით, საქმეში ახალი ფსიქოლოგი ჩართო, რომელის მომსახურების საფასურის გადახდაზე მხარეები ერთობლივად შეთანხმდნენ.

4.3 შუამდგომლობა დროებითი განკარგულების გამოცემის თაობაზე

ამავე საქმეში, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი იყო შუამდგომლობა დროებითი განკარგულების გამოცემის თაობაზე, რომელსაც ჰქონდა შემდეგი ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

მხარემ მიუთითა, რომ მოცემულ საქმეზე დადასტურებულია და სადაო არ არის შემდეგი გარემოებები:

1. მხარეები 2007 წლიდან იმყოფებოდნენ საქორწინო ურთიერთობებში; ერთად ცხოვრების პერიოდში მათ შეეძინათ ორი შვილი. მ.ფ და ე.ფ
2. წინამდებარე სარჩელით მოსარჩელე ითხოვს ბავშვის საცხოვრებელი ადგილი განისაზღვოს მისი საცხოვრებელი ადგილი ანუ ბავშვი მიეკუთვნოს დედას და მოპასუხეს დაეკისროს ალიმენტის გადახდა.
3. მოპასუხის მოთხოვნას წარმოადგენს აგრეთვე განქორწინება;
4. მოპასუხეს არ გააჩნია ის პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვების ნორმალურად აღზრდა-განვითარებას.
5. მოპასუხე მხარის უსაფუძვლო და გაუაზრებელი მოქმედებებისა და მშობლის უფლებების ბოროტად გამოყენების გამო ილახება ბავშვის ინტერესები.
6. ბავშვების ასაკის, სქესის გათვალისწინებით მიზანშეწონილია, რომ მან იცხოვროს დედასთან.

7. ბავშვს მუდმივად ესაჭიროება დედის მზრუნველობა და სითბო.

8. გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითაც ბავშვის ინტერესებია უპირატესი.

9. გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფის ობიექტი. ბავშვს უფლება აქვს, კანონით იყოს დაცული მსგავსი ჩარევისა ან ხელყოფისაგან.

10. სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული ფსიქოლოგის განმარტებით, ბავშვი დედასთან თავს კარგად გრძნობს და მისი დატოვება იმ ადამიანებთან, რომლებიც დედის „მსაჯულნი“ და „ბრალმდებელნი“ არიან, ცუდ გავლენას იქონიებს მის მომავალზე.

11. აქვე შესაფასებელია ის გარემოებაც, რომ დედას უკეთესი მატერიალური მდგომარეობა აქვს. მას ყავს მშობლები და დედმამიშვილები რომლებიც მას ეხმარებიან.

12. სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის თანახმად, თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. ამასთან, 1202-ე მუხლის პირველის ნაწილის მიხედვით, მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი

შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ.

13. კანონის მითითებული დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლოს გააჩნია პრეროგატივა, გადაწყვიტოს განქორწინებულ მეუღლეთა შორის დავა არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რა დროსაც უთუოდ მოქმედებს ორივე მშობლის თანასწორობის პრინციპი, თუმცა სასამართლოსათვის უპირველესად გასათვალისწინებელია თავად ბავშვის ინტერესი. მხედველობაში უნდა მივიღოთ ბავშვების ასაკი, რომელიც უთუოდ გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოცემული სადავო საკითხის გადაწყვეტისას. სწორედ ამ წლეებში ეყრება საფუძველი არასრულწლოვანის პიროვნულ ჩამოყალიბებას, რა დროსაც დედის ავტორიტეტის შელახვა და მასთან არასაკმარისი სიახლოვე დამღუპველი იქნება და უარყოფითად იმოქმედებს ბავშვების მთელი ცხოვრების განმავლობაში.

14. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სარჩელის დაუკმაყოფილების შემთხვევაში ბავშვი აღსაზრდელად გადაეცემა მამას რომელიც არ მუშაობს; შესაგებლით დასტურდება ის გარემოება, რომ მოპასუხის დედა (ბებია) საზღვარგარეთ არის წასული; ამდენად მცირეწლოვანი ბავშვის მესამე პირების აღსაზრდეალდ გადაცემა დაუშვებელია.

საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, რომ მოსარჩელე, რომელიც არის მოპასუხის ცოლი, მოსარჩელემ გააგდო სახლიდან და არ მისცა უფლება, თან წაეყვანა შვილები. აღნიშნულის მიზეზს კი წარმოადგენს მეორე (დე-ფაქტო) ქორწინება, რომელიც მოხდა მაშინვე, როცა მოსარჩელე ლ.წ სახლიდან გააგდეს.

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე მოსარჩელე შუამდგომლობს გამოცემული იქნეს დროებითი განკარგულება, რომლითაც დედას, (მოსარჩელეს) სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე აღსაზრდელად გადაეცემა მცირეწლოვანი შვილები ე.ფ და მ.ფ.

მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელეს არ გააჩნდა კერძო საკუთრება, მან საქმეს დაურთო მამის თანხმობა, რომელიც მისი შვილისთვის, მ.წ სთვის საცხოვრებელი სახლის მუდმივ მფლობელობაში არსებობას ადასტურებდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1205-ე შესაბამისად მშობლის უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს მშობლის ერთი ან რამდენიმე უფლება და მოვალეობა მშობლის სხვა უფლებებისა და მოვალეობებისაგან დამოუკიდებლად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე მიიღოს დროებითი განკარგულება, რათა მოაწესრიგოს: გ) ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა ერთ-ერთი მშობლისათვის;

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მხარემ მოითხოვა:

1. დაუყონებლივ, მხარეთა დასწრების გარეშე განხილულიყო შუამდგომლობა და
2. განსახილველ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე არასრულწლოვანი ე.ფ და მ.ფ აღსაზრდელად გასაცემოდა დედას.

სასამართლომ, აღნიშნული განკარგულების გამოცემის საკითხი ზეპირი მოსმენით განიხილა, სადაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ არასრულწლოვნები 4 დღეს მამასთან და 3 დღეს დედასთან გაატარებდნენ, საქმის დასრულებამდე.

4.4 მხარის სოციალური მდგომარეობის გავლენა დროებითი განკარგულების შინაარსზე

სასამართლო, ნებისმიერ შემთხვევაში, ისევე, როგორც შეგნებული მხარეები, პირველ რიგში, არა საკუთარ, არამედ ბავშვის ინტერესებს უნდა იცავდნენ. თუმცა, მშობლების დაძაბული ურთიერთობების ფონზე, არის შემთხვევები, როცა მხარეებს საერთოდ არ ახსოვთ, რა არის ბავშვისთვის უკეთესი და ძირითადად, ეგოისტური მიზნები ამოძრავებს.

შესაბამისად, სასამართლოს, სოციალური მომსახურების სააგენტოს უწევთ იფიქრონ, თუ რა იქნება ბავშვებისთვის უკეთესი და ამაში მათ ეხმარებათ აგრეთვე უფლება, რომ თავისი ინიციატივით გამოიკვლიონ მტკიცებულებები.

ზემოგანხილულ საქმეში, სოციალურმა მუშაკმა განახორციელა ვიზიტები ორივე მშობლის საცხოვრებელ ადგილზე, აღწერა ისინი, რა აუცილებელი პირობები გააჩნდა თითოეულ საცხოვრებელს და რა არა, თუმცა დამაჯერებლად არ უთქვამს, მატერიალური მხარე, რომელ ოჯახს უფრო ძლიერი აქვს საიმოსოდ, რომ მოხმარდეს ის ბავშვების განვითარებას.

საკითხი რთულდება,როდესაც რომელიმე მშობელი ცხოვრობს სხვა ტიპის დასახლებაში. ზემოგანხილულ საქმეში, მოსარჩელე ცხოვრობს სოფლად, ხოლო მოპასუხე-რაიონში, სადაც ერთობლივად ცხოვრობდნენ მხარეები და ერთად ზრდიდნენ შვილებს. სოციალური ადაპტაცია არასრულწლოვნებს გავლილი აქვთ რაიონში.

მოსარჩელეს მოუწია იმის დოკუმენტური დასაბუთება, რომ სოფელს, სადაც არ არის სკოლა, ემსახურება ავტობუსი (მტკიცებულებად წარადგინა მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ცნობა), აგრეთვე, მაშინ, როდესაც მოპასუხეს წარმოდგენილი ჰქონდა ცნობები სამხატვრო და მუსიკალური წრეებიდან, რომლითაც არასრულწლოვნები სარგებლობდნენ, მოსარჩელეს მოუწია აეღო ცნობა სოფლის რწმუნებულისაგან, რომ სოფელში ნამდვილად არსებობს ესა თუ ის წრე და აიღო ვალდებულება, რომ ბავშვები, მასთან საცხოვრებლად წასვლის შემთხვევაში, ამ სახის აქტივობებს არ შეწყვეტდნენ.

სასამართლო დადგა დილემის წინაშე, მიმდინარე ცხოვრება უნდა შეცვლილიყო თუ არა ბავშვებისთვის და უნდა შეეცვალათ თუ არა მათ სკოლა, სპორტული და სახელოვნებო წრეები, მაგრამ ფსიქოლოგისთვის არ დაუსვამს კითხვა, ბავშვებს ეს საკითხები ჰქონდათ თუ არა გააზრებული და რა სურდათ მათ.

საბოლოოდ, სასამართლომ, სოციალური მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად, ადამიანური რესურსისა და მხარდამჭერთა წრის სიდიდის გამო, გადაწყვეტილება დედის სასარგებლოდ მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით და მატერიალური თუ სამომავლო-პერსპექტიული თვალსაზრისით, ეს გადაწყვეტილება კითხვის ნიშნებს შეიძლება ბადებდეს.

4.5 სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომები საქმის განხილვისას

სასამართლო, დავის მთელი პერიოდის განმავლობაში, ცალსახად უთითებდა მხარეებს, რომ ბავშვების გამოკითხვა სასამართლოში, იქნებოდა მათთვის დამატებითი სტრესი და მხარეებს მოუწოდებდა მორიგებისაკენ.

სასამართლომ გამოიყენა ყველა შესაძლო გზა,რათა არ გამხდარიყო საჭირო ბავშვების სასამართლოში გამოკითხვა და ეს იმ პირობებში, როდესაც სოციალური სამსახურის ფსიქოლოგმა, ბავშვები ნეიტრალურ ტერიტორიაზეც კი არ გამოკითხა, სადაც მამის ზეგავლენის ქვეშ არ იქნებოდნენ.

სასამართლომ, გარდა მოსარჩელის მიერ, მოწმის გამოკითხვის დროს დაყენებული შუამდგომლობებისა, რომ არ ჩათვლილიყო პასუხები, არცერთხელ გაუსვა იმ ფაქტს ხაზი, რომ მოწმეები იყვნენ მოსარჩელისა და მოპასუხის ოჯახის სრულწლოვანი წევრები, ისინი კი აპელირებდნენ არა ფაქტებზე, არამედ ფაქტების შეფასებაზე. მოსარჩელის მიერ გაჟღერებულ იქნა არაერთხელ, რომ მოწმეები გამოკითხვის დროს საუბრობდნენ შეფასებებით და არა ფაქტებით.არასრულწლოვანთა მონაწილეობით საქმეების განხილვისას, ისევე,

როგორც ზოგადად პროცესში, ფაქტების შეფასება არის სასამართლოსა და მხარეების უფლება, რაც შეეხება მოწმეებს, მათ ევალებათ საქმის ირგვლივ მათთვის ცნობილი ფაქტების მხოლოდ გადმოცემა სასამართლოსთვის.

მოსარჩელის შუამდგომლობები, იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა დაკითხულიყო მოწმედ (მათ შორის სკოლის პედაგოგები) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე უთითებდა, რომელი ფაქტობრივი გარემოების დასამტკიცებლად, რომელი სჭირდებოდა, სასამართლომ დროის ეკონომიის მიზნით, მოწმეთა გამოკითხვის შუამდგომლობების მხოლოდ ნაწილი დააკმაყოფილა. შუამდგომლობა დააკმაყოფილა ოჯახის წევრების გამოკითხვის ნაწილში და უარი თქვა გამოეკითხა არასრულწლოვნების სკოლის რამოდენიმე პედაგოგი. უარის ნაწილში შუამდგომლობა გასაჩივრდა ძირითად გადაწყვეტილებასთან ერთად.

მიმაჩნია, რომ სასამართლოს, თავადვე უნდა ჰქონოდა სურვილი, უშუალოდ პროცესზე, ნეიტრალურ გარემოში და ზეწოლისაგან დაცულად უნდა მოეხდინა პროცესზე არასრულწლოვნების გამოკითხვა.

თავი 5. მტკიცებულებები საოჯახო დავების განხილვის დროს

საოჯახო დავების ნაწილს წარმოადგენს სწორედ დროებითი განკარგულების მოთხოვნა, მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის საფუძველზე.

გარდა მხარეთა ახსნა-განმარტებებისა, რომლებიც საოჯახო დავებში ბევრად უფრო სადავო მტკიცებულებებია (საფუძველს წარმოადგენს მხარეთა ემოციური მდგომარეობა და არა ფაქტები) , მტკიცებულებები საოჯახო დავებში უნდა იყოს შემდეგი:

1. ქორწინების მოწმობა (თუ ქორწინება რეგისტრირებულია სამოქალაქო რეესტრში და იგი არ წარმოადგენს დე-ფაქტო ქორწინებას) ;
2. შვილის /შვილების დაბადების მოწმობები ;
3. ცნობები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, აკადემიური მოსწრებისა და წრეებში არსებული აქტივობების შესახებ (თუ ასეთს განსაკუთრებულ დამსახურებად მიიჩნევს რომელიმე მშობელი);
4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (შვილებისა და მშობლის, რომელთსაც სურს, შვილების აღზრდა);
5. შემოსავლების დადასტურება;
6. სხვა;

მხარეები თავად ადგენენ, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, თუ რა მტკიცებულებს დააყრდნობენ თავის მოთხოვნებს, თუმცა, კანონი ამბობს, რომ ფაქტები,რომლებიც შეიძლება დასაბუთდეს ერთი სახის მტკიცებულებით, არ შეიძლება დასაბუთდეს სხვა სახის მტკიცებულებით. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია, მხარე იყოს ინფორმირებული, საოჯახო დავის დაწყებისას, რა სახის დოკუმენტების მოძიება-წარდგენა მოუწევს სასამართლოში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საოჯახო დავების სპეციფიკიდან გამომდინარე, სასამართლო თავად გამოითხოვს ყველა იმ მტკიცებულებას, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს დროებითი განკარგულების სამართლიანად მიღებისათვის და რომელიც აჩენს საფუძველს, მხარეების შემდგომი ურთიერთობის წარმოართვისთვის.

დროებითი განკარგულებით, რჩენის დავალდებულებამ, ისევე, როგორც არასრულწლოვნის რჩენის ფაქტმა და საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრამ, მაღალი საზოგადოებრივი თვითშეგნების მქონე მოდავე მხარეებს, უნდა გაუჩინოს შემდგომი ურთიერთობის დალაგების, მორიგების სურვილი. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[3] მუხლის მიხედვით, სასამართლო მედიაცია შეიძლება გავრცელდეს საოჯახო სამართლებრივ დავებზე გარდა შვილად აყვანასთან, შვილად აყვანის ბათილად ცნობასთან, შვილის აყვანის გაუქმებასთან, მშობლის უფლების შეზღუდვასთან, ჩამორთმევასთან, აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული დავებისა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმ შემთხვევების განხილვა, როდის და რა სახის მედიაციას აწარმოებენ მედიატორები. შუამდგომლობები, განიხილება სასამართლო სხდომაზე, მოსამართლის მიერ, ხოლო მედიაციის მიმდინარეობის პერიოდში, დროებითი განკარგულებები შესასრულებლად სავალდებულოა, თუ მხარეები არ მიმართავენ მათ გაუქმებაზე სასამართლოს. მორიგების შემთხვევაში, დროებითი რეგულაციები სამედიაციო შეთანხმებით იქცევა მუდმივად, თუ ასეთს ჩაწერენ შეთანხმებაში მხარეები, ან/და დამტკიცდება სხვა სახის რეგულაციები.

დასკვნა

ნაშრომში განმარტებულია ყველა ის მახასიათებელი, რომელიც მყარად უნდა იცოდეს დაინტერესებულმა პირმა, მშობელმა, მეურვემ თუ წარმომადგენელმა, რომელიც საოჯახო დავას აწარმოებს სასამართლოს მეშვეობით და როგორც სამართლებრივი დაცვის მექანიზმს, იყენებს დროებით განკარგულებას.

ნაშრომში განმარტებულია, უფლებრივ დონეზე, რა საკითხებს უნდა იცნობდეს მხარე, დაინტერესებული პირი, რომ მან თავისი ინტერესები დაიკმაყოფილოს იმგვარად, რომ ამით ზიანი არ მიადგეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას. ნაშრომი უთითებს საქმის წარმოებაზე სამივე ინსტანციაში და საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირს, გაეცნოს როგორც უკვე დადგენილ სასამართლო პრაქტიკას, ისევე მიმდინარე საქმეების სპეციფიკას. უმნიშვნელოვანესია, რომ პირველი ინსტანცია, რომელსაც აქვს უდიდესი მნიშვნელობა, სადავო-უდავო ფაქტების დადგენის, ასევე, მტკიცებულებათა დართვის, მათი მნიშვნელობის განსაზღვრის საქმისათვის, არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იმ სიკეთის დასაცავად, რომელსაც ბავშვის უფლებები ჰქვია.

მივიჩნევ, რომ უნდა დადგინდეს საკანონმდებლო მოთხოვნები, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გამოიყენოს სასამართლომ მულტიდისციპლინური მიდგომა საუკეთესო ინტერესების დასადგენად და ჩართულნი უნდა იყვნენ სხვადასხვა სპეციალისტები. გადაწყვეტილების მიღების დროულობა და გადასინჯვის შესაძლებლობა, ბავშვის ზრდადი განვითარების გათვალისწინებით. სასამართლო პირდაპირ უნდა დავავალდებულოთ, ახსნას გადაწყვეტილებაში, რა იქნა მიჩნეული ბავშვის საუკეთესო ინტერესებად, რის საფუძველზე მიიღო განკარგულება, ან რატომ ასახა ესა თუ ის შესასრულებლად სავალდებულო ქმედება გადაწყვეტილებაში, რა კრიტერიუმებს დაეფუძნა მსჯელობა , როგორ იქნა დადგენილი საუკეთესო

ინტერესები და როგორ იქნა იგი პრივილეგირებული, სხვა პირთა ან უწყებათა ინტერესებთან მიმართებაში.

წინამდებარე ნაშრომი დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს დეტალური ცოდნა მიიღოს საოჯახო სამართლის მატერიალურ და პროცესუალურ ნაწილებზე და დავის მიმდინარეობის ერთერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მექანიზმზე, როგორიც არის დროებითი განკარგულება და მისი სამართლებრივი ბუნება.

გამოყენებული ლიტერატურა

ევროპის საბჭო . (2014). ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ. განმარტება ., (გვ. 17). სტრასბურგი.

ევროპის საბჭოს ბავშვის უფლებათა კომიტეტი . ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N14 ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების შესახებ პარაგრაფი 16 . სტრასბურგი.

ზარნაძე, ე. (2007 წლის N1). მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამართლოს დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურება. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სამეცნიერო ჟურნალების სტატიათა კატალოგი* .

რომან შენგელია ეკატერინე შენგელია. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი: მერიდიანი.

საკანონმდებლო ნორმები

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
4. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
5. კანონი სახალხო დამცველის შესახებ
6. კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ
7. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
8. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
9. კანონი იურიდიული დახმარების შესახებ
10. კანონი ბაჟის შესახებ
11. კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ
12. კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ

13. კანონი ზოგადი განათლების შესახებ
14. კანონი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ
15. კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ
16. კანონი პაციენტის უფლებების შესახებ
17. კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ
18. კანონი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ
19. კანონი ოჯახში ძალადობის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ
20. კანონი სოციალური დახმარების შესახებ
21. კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ
22. კანონი სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ
23. კანონი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ
24. კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ
25. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ
26. კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ
27. კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ
28. კანონი გარემოს დაცვის შესახებ
29. კანონი ტრანსპორტის შესახებ
30. კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ

გამოყენებული ინტერნეტ რესურსები

www.matsne.gov.ge

www.supremecourt.ge

www.nplg.gov.ge

www.unicef.org

www.mtskheta.court.ge